საქართველოს როლი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში

დემეტრე გიუნაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა კომახია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

დემეტრე გიუნაშვილი

22.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში არსებული ნეორეალიზმის თეორიული დაშვებების საფუძველზე იკვლევს, თუ რა როლი უკავია საქართველოს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ნაშრომის მიზანია თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ანალიზით დადგინდეს ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც განაპირობებს რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევის შესწავლის მეთოდს იყენებს. ნაშრომში გამოყენებული მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ტექნიკა ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურას, სტატიებს, ანალიტიკური ცენტრების ანგარიშებს, ინტერნეტ გამოცემებს და დოკუმენტების კონტენტ ანალიზს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს პროდასავლური კურსი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი. რუსეთი საქართველოს აღიქვამს ლეგიტიმური გავლენის ზონად და გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან მხარედ, რომელიც დაუშვებელია მოექცეს რუსეთისთვის არასასურველი ძალების გავლენის სფეროში. ამისათვის რუსეთი იყენებს საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების ფართო არსენალს საქართველოს წინააღმდეგ, რათა მოხდეს საქართველოს პროდასავლური კურსის შეცვლა ან შეფერხება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რუსეთის საგარეო პოლიტიკა, საქართველოს პროდასავლური კურსი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, საფრთხეები.

Abstract

The present work studies the role of Georgia in the Russian foreign policy on the basis of the theoretical assumptions of neorealism in the scientific discipline of international relations. The aim of the work is to determine the main factors that condition Russia's attitude towards Georgia through the analyze of the modern political processes.

Methodologically the work is considered in the qualitative research category and uses the method of studying the case as a basic methodological approach. The data collection and analysis techniques used in the work are based on scientific literature, articles, analytical centers reports, internet publications and content analysis of documents.

As a result of the survey, it was established that the pro-Western course of Georgia and integration into Euro-Atlantic structures is the threat to Russia. Russia perceives Georgia as a legitimate influence zone and a geopolitically important area that is inadmissible to be found under the influence of undesirable forces for Russia. To this end, Russia uses a wide arsenal of foreign political instruments against Georgia to change or delay Georgia's pro-Western course.

The search keywords: Russian foreign policy, Georgia's pro-Western course, Russian-Georgian relations, threats.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო სრულიად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს სამაგისტრო საფეხურზე სწავლების პერიოდში სტუდენტებთან გაწეული შრომისთვის. ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, რომელმაც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში არაერთი საინტერესო მოსაზრება გამიზიარა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბ-ნ მამუკა კომახიას, რომელიც კვლევის პროცესში მუდამ ხელმისაწვდომი იყო და არ იშურებდა სასარგებლო რჩევებს.